№231 2016 წლის 11 თებერვალი ქ. თბილისი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტისათვის გრანტის მიღების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

1. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-100 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების შესაბამისად, მიეცეს თანხმობა ოზურგეთის მუნიციპალიტეტს, ევროკავშირის პროექტის - „მონაწილეობითი CHARRETTE გურიის ტურიზმის განვითარების სტრატეგიისთვის“ - ფარგლებში, მიიღოს გრანტი ევროკავშირისგან 374 749 (სამას სამოცდათოთხმეტი ათას შვიდას ორმოცდაცხრა) ევროს ოდენობით.

2. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, მიეცეს თანხმობა ოზურგეთის მუნიციპალიტეტს, ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული პროექტის განსახორციელებლად გამოიყენოს ამავე პროექტის ფარგლებში გასაფორმებელ საგრანტო ხელშეკრულებაში მოცემული ევროკავშირის შესყიდვის პროცედურები.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**